№ 134. 12 ივლისი, სამშაბათი. 1866—1883 12 ივლისი, სამშაბათი. № 134.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადებას მიიღებს ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია გერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

პეტერბურღი, 8 ივლისს. დღეს დილით თოფის წამლის ქარხანაში იფეთქა წამალმა. მოკლულია 5 კაცი და 2 კაციც მძიმედ დაჭრილია. შენობა მთლად დაინგრა.

ბელგრადი. დიდი სკუპჩინის ყრილობა მოხდება მომავალს ღვინობისთვეში კონსტიტუციის გასაშინჯავად.

ათინა. იუსტიციის და ზღვის მინისტრმა სამსახურს თავი დაანებეს.

პეტერბურღი 9 ივლისს გამოცხადდა უმაღლესი ბრძანებანი იმ გადასახადის შესახებ, რომელიც ამას იქით იქნება დანიშნული სასმელების და თამბაქოს ბაჟის წესდების დარღვევისათვის. აგრეთვე შაქრის აქციის შესახებ; იმ წესების შესახებ, რა წესითაც უნდა ისყიდებოდეს ახიანად დაწესებულს გლეხების საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებული მამულები.

ამ წლის ბირველი იანვრიდამ პირველს მაისამდე სახელმწიფო ხაზინაში შემოვიდა შემოსავალი 193,015,403 მან. 3,683,874 მანეთი ნაკლები შარშანდელზედ, ამ ხანის განმავლობაში გასავალი 209,810,979 მანეთი, შარშანდელზედ 10,166,514 მანეთით მომეტებული.

ლონდონი. ქრიცმორისმა შეატყობინა პალატას, რომ ინგლისის წარმომადგენელებს გაუგზავნიათ ბრძანება ჩააგონონ ეგვიპტის მართებლობას, რომ ხოლერის მოსასპობელად უფრო საჭიროა სანიტარული წესების დაცვა, მინამ კარდონების და ლაზარეთების მართვა.

პეტერბურღი, 8-ს ივლისს. პეტერბურღის სასახლეში მიულოცა ხელმწიფე იმპერატორს დაგვირგვინება ათონის რუსის მონასტრის დეპუტაციამ; მიართვეს ორი ძვირფასი ხატი და ალბომი, რომელშიაც გადაღებულია ათონის ყველა მონასტრები.

გამოცხადდა, რომ ამას იქით ვისაც დიდი ვაჭრობა და წარმოება აქვს, ე. ი. ვინც პირველი გილდის მოწმობითა ვაჭრობს და მთელი შემოსავალი 200,000 მანეთს აღემატება, წმინდა შემოსავლიდამ უნდა სამი % გადიხადოს ხაზინის სასარგებლოდ. ვინც მეორე გილდის მოწმობითა ვაჭრობს და მთელი შემოსავალი აღემატება 50,000 მანეთს, ისიც წმინდა შემოსავლიდამ იმდენსვე გადიხდის.

აღიკრძალა «გატუევის გაზეთის» ცალკე ნომრების ყიდვა.

ქალების სამკურნალო კურსებს უთუოდ მოსკოვში გადიტანენ.

პარიჟი. ტურგენევს კიდევ აწუხებს გულის ავადმყოფობა, მაგრამ საშიში არაფერია.

უცხო საქმეთა მინისტრმა გამოაცხადა სენატში, რომ ანამის კოროლი ტიუდიუკი და ჩინეთი ისე იქცევიან საფრანგეთის შესახებ, რომ იძულებულნი შევიქენით ჩვენი თავი მეომარ მხარედ ჩავთვალოთო, თუმცა ომი ფორმალურად ჯერ არ გამოგვიცხადებიათო.

### თბილისი, 11 ივლისს.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში იყო დაბეჭდილი წერილი რედაქციისადმი, რომელშიაც ავტორმა ის აზრი გამოსთქვა, რომ «კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების» სკოლები, მღვდლების მაგიერ, სამჯობინო იქნებოდა კავკასიაში სწავლა-განათლების მზრუნველის ხელში გადასულიყოვო. დღევანდელს ნომერში იბეჭდება სამურზაყანოდამ კორესპონდენცია იმავე სკოლების შესახებ, რომელშიაც სულ წინააღმდეგი აზრია გამოთქმული. სამწუხაროდ ამ საგანზედ ჩვენი აზრის გამოთქმა არ შეგვიძლიან, რადგანაც, იმ საზოგადოების სკოლების შეხება ისე არ შეიძლება, რომ სხვა სკოლებიც შიგ არ მოჰყვეს და ამ სხვა სკოლების მნიშვნელობაზედ თავისუფალი მსჯელობა ჯერ დროთავითარებისა გამო, ჩვენთვის მოუხერხებელია. ამ სკოლებზედვე ლაპარაკობს მლადიკავკაზელი გაზეთი «თერგი» მე-79 ნომერში.

წერილი ეკუთვნის ბ. აბრამოვის კალამს. აბრამოვი ჯერ ახალ-გაზდა მწერალია, თანამშრომელი რუსეთში

---

### «დროების» ფელეტონი 12 ივლისი.

## ანაფორიანი ადვოკატი

ბევრჯელ იწერებოდა და იწერება ჟურნალ-გაზეთებში, რუსულს თუ ქართულს ენებზედ, ადვოკატების სიმრავლობაზედ, მათგან ხალხის ცარცვა-ყვლეფაზედ და დასასრულ იმათგან საქმის წარმოებაზე; მაგრამ ამდენ ლაპარაკს ბევრი არაფერი გაურიგებია-რა; ჩემის ფიქრით, უარესი საქმე დაემართა ჩვენს საცოდავს ხალხს. მხოლოდ სერთუკიან ვექილებს მიემატნენ ანაფორიანი ვექილები.

ჯერ სხვებს თავს დავანებებ და პირველად გაგაცნობთ ერთი ანაფორიანი ადვოკატის პიროვნებას და მის ოინებს. ეს ახირებული ადვოკატი გახლავთ ერთი მრავალი კეთილი საქმეებისთვის მღვდელობიდამ გადაყენებული სულიერი მამა დიმიტრი მექროვი; მაშასადამე ნამდვილი ცოცხალი და არა ფანტაზიით შეთხზული პირი. მ. დიმიტრის ხშირად ნახავს ყოველი კაცი, ვინც კი იცნობს, როგორც მე თფილისის განაპირებულ ქუჩებში, სადაც მცხოვრებელნი უფრო სოფლის მცოვრებთ წააგვანან; აგრეთვე შეიძლება მისი ნახვა ამომავალი, ან ჩამავალი ლვინის საციებელ სარდაფების კიბეებზედ, სადაც მომატებული წილი თელავის და მის მაზრის მცხოვრებნი არიან და იმ დროების ცნობა აქვს, როდესაც მ. დიმიტრი მწყემსობდა თელავის სულიერ ფარას; აგრეთვე შეიძლება ის ჰნახოთ ყველა სამოსამართლო ადგილებში შესულ-გამოსული. მანამ მე გავიგებდი ახლად არჩეულს იმისგან მოღვაწებას, ხალხის დამცველობას სასამართლოებში, რომელ ქუჩაშიაც კი ვნახამდი მ. დიმიტრის, ვიფიქრებდი ხოლმე: უთუოდ ის დადის გაუნათლებელის ხალხის დასამწყსელად კეთილზე, მაგრამ, ვაი დედას! რა ნაირად გამიცრუვდა იმედები, როდესაც ამ მელასავით შემპარავი გადაყენებული მღვდლის ოინები დაახლოვებით გავიცანი.

ავლაბრის განაპირებით, სწორედ იმ უბანში, რომელსაც მთელი ქალაქი ძაღლის უბანს ეძახის, სცხოვრებს ერთი საწყალი და ღარიბი სომეხი კაცი, სახელად ოსეფა და გვარად მელქუმოვი, ხელობით დურგალი. ამას აქვს საკუთრად სახლები, მაგრამ ეს მარტო სახელია; ნამდვილად კი ქოხ-მახობაა. ამ ქოხმახობაში უჭირავს ერთი ოთახი, სხვათა შორის, ამ სტრიქონების დამწერსაც. ეს ოსეფა კარგა ხანია უჩივის ერთს რუსს თავის ხელ-ფასზედ. ნაფასური საქმისა წაიღწევს თითქმის ას თუმნამდე. რაღა ბევრი გავაგრძელო, თფილისის ოლქის სასამართლომ გაამტყუნა ჰალალი ოსეფა და ოთხი თვის ვადა მისცა, როგორც კანონია, თუ რომ მოჩივარი განაჩენზე კმაყოფილი არ არის გარდაიღდეს პალატაში კასსაციით. ეს ვადა უთავდებოდა წარსულ თიბათვის ოც-და-ოთხს. ოთხმა თვემ ოსეფასთვის გაირბინა ჩქარა, სწორედ ისე, როგორათაც ოთხმა დღემ; მოაწყდა ერთბაშად ის დროც, როდესაც ოსეფას უნდა შეეტანა კასსაცია. მოჩივარი თურმე ფაცა-ფუცით დარბის სასამართლოში, გარდაწყვეტილების პირისათვის. ამ დროს რამდენჯერმე შემთხვევა ჰქონია მ. დიმიტრისთან გამოლაპარაკებისა, რომელსაც თავისი თავი უცნობებია ნამდვილ ადვოკატად და აღუთქვამს კიდეც, როგორათაც სასულიერო პირს, ყოველგვარ გაჭირვებაში დახმარება. ოსეფამ მე არაფერი არა მკითხა-რა,—არ ვიცი გაუბედაობის მიზეზით, თუ სხვა რისთვისმე; უფრო საფიქრებელია, რომ იმას თავში წარმოდგენილი ექნებოდა ჩემი უცოდინარობა (თუმცა ნამდვილ ესეც გახლავთ); ის ასე იფიქრებდა: თუ ამას რამე შეეძლოს ჩემს ქოხ-მახებში კი აღარ დადგებოდაო...

ერთხელ კი იყო როგორღაც, ოსეფამ მკითხა, ხომ არავის იცნობ იმისთანა კაცს, რომელსაც შეეძლოს კასსაციის დაწერა? მეც მივასწავლე ერთს ნაფიც ადვოკატთან. ოსეფამ ნახა ის, მოელაპარაკენ ერთი ერთმანეთს; ადვოკატმა ძრიელ მაღლა არ შეჰკიდა კლიენტს, რადგან მისი სიღარიბე შენიშნა. მახლას, რაღა ბევრი თავი შევაწყინოთ, დაუწერა საჩივარი და ოც-და-ოთხს თიბათვისთვის მზად იყო, რომელიც ოსეფამ წაიღო მისაცემად, მაგრამ არ მიიღეს, რადგან ოსეფას ერთ თუმანზედ მეტი ფული არა ჰქონდა ზედ, კანონით კი ორი თუმანი უნდოდა. მოჩივარი ფიცხლავ გამობრუნდება, რომ როგორც იყოს შეავსოს საჭირო ფული. ამ დროს შეხვდება ხსენებული სულიერი ადვოკატი მ. დიმიტრი და, აი, ამ საათიდამ იწყება მისი ერთგული დახმარება საწყალ ღარიბ კაცისა.

— ოსეფ! ოსეფ! უძახის მათი კურთხევა,—საით რა ჰქენ შენი საქმისა?

— ეჰ სულის მამახ-ჯან! უპასუხა ოსეფამ, რაღა რა ვქენ კასსაცია დავამზადებინე, მივიტანე აგერ ეხლა და არ მიიღეს: ფული უნდა ორ თუმნად შეასრულო, თორემ არ შეიძლებაო, აი ეხლა მივეშურები აგები მივდგომოვდგე სადმე.

რასაკვირველია მ. დიმიტრი მიხვდებოდა ოსეფას სიტყვებიდგან, რომ იმას ნაკლები ფული აქვს, და იმის მაგივრად, რომ ეკითხა რამდენი გაკლია—იმან ჰკითხა:

— არა გაქვს, ოსეფ, ერთი მანეთი? აქ წამოდი საწყალი კაცი ყოფილხარ—მე გიშველი.

— აბა შენი სულის ჭირიმე მამავ, როგორ მიშველი, შენ სადღეგრძელოდ მანეთი როგორ არა მაქვს, უპასუხებს ოსეფა.

— ადრევაც ხომ გითხარ, მე ყველაფერი შემიძლიან მეთქი, ეტყვის მღვდელი, წამოდი წავიდეთ ფოსტაში, და მაშინვე ორნივენი დაეშვებიან თავ-თავქე.

— აბა რა უყავ ქაღალდები მომეცი აქა, მანეთიც ამოიღე.

ოსეფა ფიცხლავ ამოიღებს ქაღალდებს და ერთ მანეთ ფულსაც. და მიართმევს სულის მამას; შევლენ კიდეც ფოსტაში. აქ მ. დიმიტრი ფიცხლავ გააკეთებს კანვერტს, ჩასდებს შიგ ქაღალდებს (სრულად კი არა), დაჰბეჭდს, ზედ წააწერს და მისცემს «ზაკაზნოი» წერილის სახელ ქვეშ.

— ოსეფ, აი ეხლა შენი საქმე კარგა წავიდა! თუ გინდა, ფული ხუთექვს თვემდი დარჩეს მანამ როგორ ვერ იშოვი, მაშინ წარადგინე ორი თუმანი; მაგრამ ამითი კი არ გათავდა; კასსაციის საჩივარი ძნელია, ხვალაც უნდა შევიტანოთ აი!

— შენი სულის ჭირიმე მამავჯან, ეუბნება ოსეფა, შენ იცი და შენმა ღმერთმა, რაც საჭირო იყოს ყველა მივცეთ, აბა მე რა ვიცი?

ამასობაში, რასაკვირველია, ხანმა გაიარა და შუა დღეც კარგა გადასულიყო. მაშინ ქამარში ხელი გაიყარა დაჩეჩა და თავის კლიენტს უთხრა:

მეტად პატივცემული ჟურნალისა («Атечественныя записка») და სულ ამ ცოტა ხანში რუსეთის მწერლობაში საზოგადო ყურადღება დაიმსახურა როგორც თავის ნიჭით, ისე სამართლიანი და სინიდისიან შეხედულობით საგნებზედ. ბ. აბრამოვი ეკითხება თავის თავს: რა საშუალებით შეიძლება მოხდეს რუსეთსა და კავკასიას შორის ის მტკიცე, ზნეობითი დაკავშირება? ამ საყურადღებო და, დიალ, მაღალ მნიშვნელობიან კითხვაზედ ბ. აბრამოვი საფუძვლიან პასუხს იძლევა. იმისი ფიქრით, მარტო კავკასიელებისთვის გამოცემული, განსხვავებული კანონები ადგილობრივ ხალხებს ვერ დაამშვიდებენ და მეგობრულს განწყობილებას ვერ დაამყარებენ მათშორის. ამ მიზნის მისაღწევ საშუალებად მიაჩნია პატივცემულს ავტორს მხოლოდ ეკონომიური პირობების გაუმჯობესობა და განათლება. «რისთვისღა იფიქრებენ აქაური ხალხები რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებაზედ, ამბობს ავტორი, როდესაც იგრძნობენ, რომ რუსეთის ხელში კეთილ-დღეობას მიაღწიეს? აგრეთვე, მხოლოდ ნამდვილი განათლება თვალებს აუხელს ამათ და დაანახვებს, რომ მომეტებული ნაწილი იმ უბედურებისა, რომელსაც ისინი ითმენენ, მარტო მათი ხვედრი არ არის და არც რუსეთის მართებლობის ბრალია. მათი მშობელნი არიან საზოგადო სოციალური მიზეზები და მათთან საბრძოლველად სხვა ნაირი იარაღის მოპოვება უნდა. ხმალმა და ხანჯალმა, რომლის ხმარებასაც ისე მიჩვეულნი არიან კავკასიელნი, თავისი დრო მოჭამეს.» ამის შემდეგ, ავტორი თვალს ავლებს რაც გაკეთებულა კავკასიაში ხალხის განათლებისათვის... აქამდე ორ ნაირი სკოლებია დაარსებული კავკასიის გასანათლებლად: «კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოებისა და ესრედ წოდებული, «Горскій школы» პირველის შესახებ ავტორი თითქმის არაფერს არ ამბობს, რადგანაც მათი უსარგებლობა დიდი ხანია რაც თითქმის ყველამ შეიტყო და მეტი ლაპარაკი აღარა ღირსო. მათი... უმთავრესი მიზეზი ის არის რომ განათლებას გარდა, ისინი კიდევ სხვა რაღაც დაფარულს მიზანს მიელტოდენ მაშინ, როდესაც ყველკან და ყოველთვის სკოლის უწმინდესი მიზანი მხოლოდ ერთად ერთი უნდა იყოს: ხალხის განათლება და გონების გახსნა.

მეორე სკოლებს (горскія училища) კიდევ თითქმის არაფერი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიანთ ამიტომ, რომ მოსწავლე იქიდამ ისეთს ვერაფერს გამოიტანს, რომ პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოადგებოდეს. გარდა ამისა, ისინი აძლევენ მხოლოდ რაღაც სხვა-და-სხვა საგნებიდამ ნაგლეჯებს და არა გათავებულს რასმე. ამიტომაც იქიდამ გამოსულს, რომ სწავლის გაგრძელება უნდოდეს, ვერსად ვერ შევა, რადგანაც არაფერში მომზადებული არ არის. ამისთანა ყაიდის სკოლები წინათ რუსეთში იყო და მალე დაკარგეს ნდობა ხალხში. რაც რუსეთში არ გამოდგა, იმითი უნდათ გააბედნიერონ აქაური ხალხი. როგორც რუსეთში იყო, ისე რომ გადმოერგათ აქეთ, კიდევ არაფერი, მაგრამ აქ იმ სკოლებისთვის რაღეებიც მიუმატებიათ მაგალითად, ნალჩიკის სკოლაში შემოუღიათ ფრანცუზული ენა! გარემ ისღა აკლია, რომ ცეკვის (ტანცების) ტეორიაც ასწავლონო, უმატებს ავტორი. ერთის სიტყვით, აბრამოვის ფიქრით, ამისთანა სკოლებს შეუძლიანთ დაბადონ აქაურ ხალხში მხოლოდ რამდენიმე უსარგებლო, მუქთა-მჭამელი, რომელიც გაუფუჭებია, სიზარმაცესთვის მიუჩვევია ექვსი წლის განმავლობაში ცუდად გდებას სკოლაში და იქიდამ არაფერი სასარგებლო კი არ გამოუტანია. ამ სკოლიდამ გამოსული შინაურ ცხოვრებას ვეღარ ეწყობა, რადგანაც ის სრულებით არა ჰგავს სკოლის ცხოვრებას; და თითონაც სხვა ნაირად ვერ მოუწყვია ეს ცხოვრება, რადგანაც ამდენი უნარი და ცოდნა არ გამოუყოლებიათ სკოლიდამ. ერთი საშუალებაღა რჩება ამისთანა განათლებულს ყმაწვილს: წავიდეს და სადმე კანცელარიაში დაიწყოს ქაღალდების ჯღაბნა. ეხლა კიდევ, ამბობს აბრამოვი, ნალჩიკის სკოლა რეალურ სასწავლებლად უნდა გადააკეთონო. რეალური სასწავლებლის გახსნა იქ, სადაც პირველ-დაწყებითი სწავლა რიგიან გზაზედ არ არის დაყენებული, რასაკვირველია... სანატრელია, რომ ეს პროექტი ან სულ მოშალონ, ან დიდი ხნობით მაინც შეაყენონო, ამბობს ავტორი.

## ახალი ამბები.

≈≈≈ ქალაქში ხალხი თან-და-თან შიშმა აიტანა და ხოლერაზედ ლაპარაკი გახშირდა. გუშინ აქა-იქა იძახოდენ ვითომ ბათუმში კიდეც გამხდარა ორი ხოლერისაგან ავად. ამისთანა ულმერთო სიცხეები, როგორც ეხლა ქალაქში დადგა, ჩვეულებრივი უსუფთაობა ქალაქისა და თან მკვახის, თან დამპალი ხილის სიმრავლე ბაზრებში ხოლერას კი არა უფრო უარეს ჭირს გააჩენს. წინათვე უნდა თავდარიგი და გაფთხილება, თორემ რაკი თათრის მეიდანზედ პირველი კაცი გადიბარცება ხოლერისაგან, მაშინ ჩვენ აღარაფერი გვეშველება, პეტერბურღი რამდონით მოშორებუ-

— ოსეფ! პური მამშივდა. შენა? შევნაყრდეთ სადმე პატარა.

— მეცა, მეც მამშივდა! წამობრძანდით, უპასუხებს ოსეფა.

— მე ვიცი კარგი ცივი სარდაფი, ეტყვის მღვდელი, ღვინოც კარგი აქვთ და საჭმელიც. იქ წავიდეთ.

წავლენ ორნივენი და ჩავლენ იმ ადგილას, სადაც თურმე დაიარება სადილად ადვოკატი-მღვდლის შვილიც, რომელიც მსახურებს ოლქის სასამართლოში მწერლად. მაშინვე დახლიდარს მოატანინებენ: პურს, კიტრებს, თევზს, მოთალს (მღვდელი-ადვოკატი არ ინახავდა პეტრე პავლეს მარხვას) და ჩარექ ღვინოს. დასხდებიან და, თითო არყის მართმევის შემდეგ, ნელ-ნელა შევლენ პურის მირთმევით მუსაიფში. ამათი ლაპარაკის საგანს შეადგენდა: ოსეფას საჩივარი, მღვდლის ერთგულება, მასთან მისი მცოდინარობა კანონებისა და საწყალი კაცებისთვის თავ-დადება. მძიმე ლაპარაკში ჩქარა იცლებოდა ჩარექა და მაშინვე ახლდებოდა. ამასობაში, უთუოდ ოსეფას იღბალი სჭრიდა, — იმ სარდაფში შემოვიდა ერთი ახალგაზდა სერთუკით და წვერგამოშვებული ყმაწვილი კაცი. დაინახა თუ არა მღვდელმა, თითქოს რაღაცა გამარჯვება და სიხარული მიიღო, მაშინვე ამაყად გააცნო ოსეფას და უთხრა: ეს ჩემი შვილია, ამას დიდი ადგილი უჭირავს «ოკრუჟნოი სუდში», შენმა ქაღალდებმა სულ ამის ხელში უნდა გაიარონ, აბა ახლა შენ იფიქრე, კარგა წავიყვან საქმეს თუ არა?

ოსეფა სიხარულით წამოდგება, დაბლა სალამს მისცემს სასამართლოს წარმომადგენელს, მიართმევს სკამს და სამნივე გააგრძელებენ შექცევას. ემატება, როგორც ზევით ვსთქვით, მუსაიფი მუსაიფს და ჩარექა ჩარექას ოსეფას ჯიბის სასარგებლოდ. ამ დროს განმავლობაში მღვდელი-ადვოკატი ეტყვის ოსეფას, რომ სიმართლე თხოულობს გქონდეს ჩემგან ხელწერილიო, რომ რაც შენი საქმის ქაღალდები მაქვს, ისინი კარგად შეინახებოდესო. ოსეფა ამ სიტყვებზედ, როგორღაც სულით და გულით მინდობილი ეტყვის: ვაიმე, ვაიმე, მამაოჯან! ეგ რა ბრძანეთ? — თქვენ და კაცი არ გენდოთ? — არა, შვილო, უპასუხებს მღვდელი, სიმართლე მოითხოვს ამას; ოსეფაც თანხმდება.

მ. დიმიტრი ფიცხლავ ამოიღებს ჯიბიდგან პატარა ნაგლეჯ ქაღალდს, კარანდაშს და სწერს შემდეგს: «მე ოსეფ მელქუმოვისაგან მივიღე ცარიელი ქაღალდები შესანახავად — როცა მოითხოვს არ დაეკარგება.» ეს არის, ხელი აღარ აწერია. ამ დოკუმენტს ჩააბარებს მღვდელი-ადვოკატი ოსეფას და ნელ-ნელა ლაპარაკში იმას გამოაპარებენ სამ მანეთს. მ. დიმიტრის შვილიც ხმარობს ყოველ ღონის-ძიებას და არწმუნებს ოსეფას, რომ იმისი საქმე კარგად წავა. ამითი თავდება ხელდახელი სადილი. ოსეფა გაუსწორდება დახლიდარს, რომელიც უანგარიშებს სამ მანეთამდე თუ ცოტა ნაკლებ არ ვიცი, და გამოვლენ გარეთ.

თუმცა მ. დიმიტრიმ კარგად იცოდა ოც-და-ოთხი ივნისის დღის მნიშვნელობა, რომ ამ დღეს იოანე ნათლის-მცემლობა იყო; იცოდა, რომ ნათლის-მცემელს ძრიელ ეჯავრებოდა ყოველ გვარი უწესო ქცევა, თითქმის ისიც იცოდა, რომ პირველმა ადვოკატმა, სასულიერო პირმა, რომელზედაც ცალკე ვაპირებთ აწერას, იმანაც კი ამ დღეს ყოველსავე თავი დაანება და წავიდა ნათლის-მცემლის უდაბნოში, ალბათ სალოცავად და მოსანანიებლად თავის ცოდვებისა, მაგრამ სუყველა ამაებს მღვდელმა-ადვოკატმა თავი ანება და ამათზედ ფიქრის მაგივრად არჩია ისევ ოსეფას ნუგეშისცემა და დახმარება მის გაჭირებაში; ამიტომაც, დაღამდა თუ არა ეს დღე, მ. დიმიტრიმ არ დაივიწყა ოსეფა, იმას უთუოდ უნდოდა თავისი ერთგულება პირ-და-პირ გაეცხადებინა იმის ოჯახობაშიაც, ამისათვის სად იყო სად არა, იქნებოდა ღამის თერთმეტი საათი, ადვოკატი-მღვდელი ეწვია ოსეფას მის ქოხმახობაში, თუმცა ამ ჟამად მანდილოსანი შინ არ იყო. ოსეფამ ნახა თუ არა თავისი დამხსნელი გაჭირვებიდგან — შეძლების კვალობაზედ ისტუმრა ღვინით, პურით, თევზით, კიტრმოთლით და სხვა-და-სხვით. იმ ღამეს კარგად მოასვენა, დილით ჩაი მიართო და, რასაკვირველია, არაყიც. ამასობაში მღვდელმა-ადვოკატმა უთხრა ოსეფას, რომ წინა დღით გაგზავნილ კასსაციას რაც დააკლდა, ისიც ამ დღეს უთუოდ უნდა გაგზავნონ ფოსტით. ოსეფა სიხარულით თანხმდება და გულში უხარიან კიდეც, რომ იმისთანა სასამართლოებს ფოსტით ელაპარაკება და საქმესაც რაღა თქმა უნდა მოიგებს. მიმავალნი გზაზედ, რასაკვირველია, არ ასცდებიან ჩვეულებრივ «ზაკუსკას». მერე მივლენ ფოსტაში, რაღაცა გაკეთებულ კანვერტს ჩააბარებენ.

მ. დიმიტრი იმ დღესაც, ჩვეულებისამებრ, ერთსა და იმავე დროს ღამისა მობრძანდა ოსეფასთან, რომელიც თავის სამუშაოთი მოქანცული, ამასთან ცოტად ნასომიცა, მიწოლილი იყო საძილეთ, მაგრამ მაინც სიხარულით ეტყვის თავის უნცროს ქალს (ამ დღესაც ცოლი ოსეფასი არ იყო შინა) მოართვას ვახშამი, რაც ღმერთმა მოსცეს. გადმოიღებს ქალი ერთ ბოთლ ღვინოს, რომლის მეტიც არა ჰქონდათ, პურსა და სხვა შესატანებელსა; მღვდელი მარტოკა შეექცა და თითქმის შუაღამე გადავიდა და იჯდა მარტოკა თითქოს ელის რასმეო, შემდეგ მოისვენა, დილით ჩაი მიირთო ჩვეულებრივის არაყით და წასვლის დროს ოსეფას უთხრა: გუშინ რომ ქაღალდი გავგზავნეთ, იმისთვის მარკა ჩემი ფულით ვიყიდე და სამი აბაზი მომეციო. ოსეფა უჯერებს და მაშინვე აძლევს სამ აბაზს. მ. დიმიტრიც მიბრძანდება.

გავიდა ორი დღე მშვიდობით. მღვდელმა-ადვოკატმა აღარ ნახა ოსეფა, უთუოდ თავის სიმართლის ბადეს მოსდო ვინმე ოსეფას მაგვარი, მაგრამ მაინც მეტმა ერთგულებამ აღარ მოასვენა ისა და ოც-და-რვას დილით ადრიანად, იმ დროს, როდესაც ოსეფას თავის ცოლ-შვილით ეძინა, მოვიდა მ. დიმიტრი და ოთახის კარს წყნარად დაუწყო ნძრევა. კარის ფაჩა-ფუჩი შეესმა ოსეფას ცოლს, იმას ეგონა ძაღლები არიანო და შესძახა: გადი, შე მუდრეგო! ამ გამოხმაურებაზე მ. დიმიტრიმ თვალები შეაჭყიტა აკოშკაში, დედა-კაცს შერცხვა და ფიცხლავ ოსეფა გააღვიძა: ადე კაცო, მღვდელი ბრძანდება! ისიც ფიცხლავ წამოხტება და გამოვა გარეთ. მ. დიმიტრიმ უთხრა, შენი საქმისათვის საჭიროა მოვილაპარაკოთ და შენ სიძესთან ჩამოდიო (ოსეფას სიძე მიკიჩ ტერ-აბრამოვი ბაყლათ არის), ოთხი მარკა კიდევ დაგჭირდება, იყიდე და თან მოიტანეო. ოსეფა დაჰპირდება დანიშნულს ადგილზე მისვლას, მღვდელი-ადვოკატიც ფიცხლავ გაბრუნდება, იქნება კიდეც რამე გულით სურდა, მაგრამ უდროო-უდროოთ მოსვლაზე ცოტა არ იყო შეირცხვინა. მოთენდა თუ არ, ოსეფა წავიდა. პატარა ხნის შემდეგ მღვდელს შორი ახლო მოუცდია და ვილასიც დუქნის ბიჭი მოუგზავნია კიდევ ოსეფას საკითხველად; ცოლი ბიჭს უპასუხებს, რომ ოსეფა კარგა ხანია რაც წავიდა დანიშნულს ად-

ლი ხოლერიან ალაგებზედ, მაგრამ მაინც ერთი ფაცა-ფუცი აქვსო იქაურ ექიმებს და საშუალებებს ეძებენ როგორმე არ შეუშვან რუსეთში ის საშინელი ჭირი; ჩვენს ექიმებს კი ყურზედა სძინავთ და აბას-თუმანს და პიატიგორსკებს დაეჩქარნენ ფულის სახვეტად.

≈≈ «კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებულ საზოგადოებას» თავისი სკოლებისთვის ცალკე ინსპექტორი ჰყვანდა დანიშნული. როგორც შეუტყვია გაზ. «თერგს» ეხლა ის ალაგი უქმდებაო.

≈≈ წრეულ სეტყვამ თითქმის მთელ კავკასიას შემოუარა და ყველგან გააფუჭა ნამუშავარი, თორემ მოსავლის პირი ისეთი იყო გაზაფხულზედ, რომ სამი წლის სარჩო მოვიდოდა. თერგის მაზრაც ალაგ-ალაგ ძალიან დაუზიანებია დაქინებულს წვიმებს, რომელსაც თურმე სეტყვა თან მოსდევდაო. მუშის სიძვირესა ჩივიანო იქითკენ, დღიურს რვა მანეთ ნაკლებ არა ჰმკიანო, ან მესამედად, ე. ი. ორი ათეული პატრონს ერთი მომკალს: სამკალი და სალეწი მაშინები გაუჩენიათ, მაგრამ ერთობ ძვირად ჯდებაო. მოზდოკში და გალეცაში თურმე მაშინების პატრონები მესამედსა თხოულობენ. უღმერთობაა?

≈≈ გუშინ მოვიდენ მოსკოვის პუშკინის თეატრის არტისტები ჩვენ ქალაქში და ამ ცოტა ხანში წარმოდგენებს გამართავენ.

დიდი თავ-განწირული და თეატრის უნახავი უნდა იყოს კაცი, რომ ამისთანა სიცხეში სამი-ოთხი საათი თეატრში გაბედოს ჯდომა.

## «დროების» კორესპონდენცია.

—

**სამურზაყანო, 28 ივნისს.** აქაური სოფლის სკოლები (როგორც სამურზაყანოს აგრეთვე აფხაზეთისა, მოგეხსენებათ, არიან კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელის საზოგადოების ზედამხედველობის ქვეშ, როგორც თვით ეკლესიებიც; თვით ამ საზოგადოების სოფელი ჰგზავნის ხოლმე ამ სკოლებში მასწავლებლებად, უმეტეს ნაწილად, სამასწავლებლო სემინარიაში კურს გათავებულებს, რომელთაც როგორც საზოგადოების ხარჯით გაზდილებს, კანად აწევსთ ოთხი წლის ვალდებულებითი სამსახური ამ თანამდებობაში,—ვისაც სად შეხვდება ეხლა ადვილი წარმოსადგენია. როგორი წარმატება უნდა ექმნეს თავიანთ საქმის კარგად წაყვანაში ახლად მოსულს რუსს ანუ ქართველს უცხო ადგილზედ,—ადგილზედ, სადაც ხალხის ზნეობით და გონებით დაცემულების და მამაკვდინებელი ჴვერის მიზეზებით-ნაცვლად ყოველ გვარი წარმატების და მიზნისადმი მიღწევისა-ემლევის მას ყოველის მხრით დაბრკოლებას!..... შემდეგ მასწავლებლის გამოცხადებისა ადგილზედ, გადის რამოდენიმე კვირა და—ხანდისხან თვეც—მინემდის რამოდენიმე ბავშვი შეიკრიბება სოფლებიდამ; შეიკრიბებიან თუ არა დიდის წვალებით და ვაი ვაგლახით,—მაშინაც—ეს მუშაობის დრო არისო (სხვა-და-სხვა წლის დროს), ეს ცუდი ამინდი და წყლობა არისო,—კლასების სკამები ცარიელნი არიან ხოლმე შუა გულ სწავლების დროს. ამ დროს მასწავლებელი, მწუხარედ ცალიერი კლასების კედლებზედ და ნამეტნავად მოწყენილი, მსგავსად გალიაში დამწყვდეულის ჩიტისა,—ძალა უნებურად ჰფიქრობს მხოლოდ იმაზედ,—როგორმე მალე გავლოს ჩვეულებრივი სისწრაფით ოთხმა წელიწადმა—სამსახურის ვადამ და—ეღირსოს სანატრელს და საამურს დროს,—როდესაც მოშორდება ჯოჯოხეთის ადგილს და მხიარულის გულით ეღირსება მიესალმოს თავიანთ სამშობლოს. ამ გვარი აზრი, რასაკვირველია, ებადება მას თავში როდესაც,—შემდეგ ხანგრძლივი ბრძოლისა სხვა-და-სხვა გვარი დაბრკოლებებთან—ეკარგება მას მოთმინება და იმედიც საქმეში გამარჯვებაზედ, და ეს არ არის საკვირველი.......

როგორ არ უნდა გამოვიდეს იგი მოთმინებისაგან და არ შეიქმნეს იმედ დაკარგული,—როდესაც მას აქვს საქმე ისეთ შეგირდებთან, რომლების ენის ინჩიც არა იცის რა მან და რომლებიც შემდეგ ორიოდე საათის გატარებისა კლასში და ესეც-უმეტესი სწავლის დროს გაშვებით-იმყოფებიან თავიანთ დედმამა და სხვა ნათესავებთან და ლაპარაკობენ ხოლმე თავიანთ დედა-ენაზედ-მცქრალნი ყოველივე ცუდის საქციელისა და მსმენელნი ყოველივე სოფლური ჭორიკანობისა აგრე რო არ იყოს,—მაინც კლასი ეშინიათ ან მასწავლებლებს ანუ მოსწავლეთ: ხომ იციან მათ კარგათ, რომ მათი ინსპექტორი (ზედამხედველი), რომელიც ასი მთის გადაღმა იმყოფება და ახლავს მათ და რომლის მოსვლის დრო დაზეპირებული აქვსთ (ის მოდის ხოლმე ამ მხარეში შემოდგომაზედ); ამიტომაც იგინი გულ დამშვიდებულნი და თავ შეუწუხებელნი არიან დრომდის; ყოველივე დასასწავლი და დასაზეპირებელი (ამ უკანასკნელის საშუალებით—განსაკუთრებით ღვთის სჯულის სწავლება მიდის ადამის დროის მეთოდით) დანიშნულ დროს დადგომამდის გადადებული აქვსთ ხოლმე; ზ. ინსპექტორის ანუ ლევიზორის (აქაურები ინსპექტორს ლევიზორს ეძახიან) მობძანების დრო რო მოახლოვდება,—მაშინ ერთი ფაცაფუცი აქვსთ და მზადება; მაგრამ, საუბედუროდ, ხშირად მოხდება ხოლმე რომ უეცრად მოუვათ მათ ინსპექტორი ისეთ დროს, როდესაც, როგორც ზევით ვთქვით, ბავშვები დათხოვნილნი იქნებიან თავიანთ სახლებში სამუშაოდ;—მაშინ

---

გილზე. ეს ბიჭი კიდევ მოვა მეორედ და ეტყვის დედა-კაცს: მღვდელს თქვენთან სიტყვა აქვსო. დედა-კაცი წრფელის გულით მოიპატიჟებს—მღვდელი ამოვა თუ არა, დედა-კაცი ეზოშივე მიეგებება, და მოკითხვის შემდეგ ადვოკატი ეტყვის, რომ ერთი სხვა სამსახურის კაცი და მე ბოგილოს აბანოში ვიყავითო (ეს აბანო აქ ძაღლის უბანშია სიახლოვეს ოსეფას სახლისა), კარგს და ტანისთვის მარგებელს იტყაიანო; მერე გადავა თავის პიროვნობაზე, რომელიც ოსეფას ცოლისთვის სრულიად საინტერესო არ იყო. იგი ეუბნება, რომ მე დიდი მამულები მაქვსო სოფელში; შვილი მყავს «ოკრუჟნი სუდში», დამსახურებულიცა ვარ; მაქვს სტანისლავა, მაგრამ თავდაბლობისაგამო გულზე არ ვიკეთებო (მღვდელს ადვოკატს, რომ სცოდნოდა სახელი მასთან მოლაპარაკე დედა-კაცისა რომელსაც ანა ჰქვიან, უთუოდ ანნას კავალერს იტყოდა, რომ მისი გული მოეგო); დასასრულ, გადადის იმათ საჩივარ საქმეზედ, რომლისათვისაც ყოველსავე კეთილს აღუთქვავს; ვერ გაგვიგია, თავის მოსვლით და ამ ლაპარაკით რა ჰსურდა მღვდელს. შეიძლება იმას აბანოს შემდეგ, კიდევ არაყზედ შეპატიჟება უნდოდა, ან სხვა რამე, მაგრამ დედა-კაცმა მოირიდა, რადგან ოსეფა დიდიხნის წასული იყო. დანიშნულს ადგილას მღვდელიც გაბრუნდა; მაგრამ ისე მომხდარიყო, რომ იმ დღეს ვერ შეჰყროდენ ერთი ერთმანეთს.

გათენდა ოც-და-ცხრა ივნისის დღე, პეტრე-პავლობა, ქართველების უქმე—სომხებისთვის კი არა. ოსეფა ეზოში ჩარდახ-ქვეშ მუშაობს, იქნება მეოთხე საათი შუადღის შემდეგ; მე ჩემს ფარდებ ჩამოფარებულ ოთახში ვზივარ, ეზოში სხედან ჩირდილ-ქვეშ ჩემს გვერდით მდგმურები: ერთი მოხუცებული დედა-კაცი, გვერდით უზის წლი-ნახევრის გათხოვილი ქალი და მოხუცებულს კალთაში უზის თავის ქალის შვილი, ახლად ძუძუ გაშვებული ყმაწვილი, მძიმეთ ავად-მყოფი, გამხდარი და თითქმის სასიკვდილოდ განწირული. ამ დროს მობრძანდა მღვდელი — ადვოკატი. ოსეფასთან მივიდა, ხელი ჩამოართო, მერე წინა დღის უნახველობა ერთმანერთს აყვედრეს; შემდეგ მღვდელმა უთხრა: კაცო! კასსაციის შეტანა ადვილი ხომ არა გგონია? კანონი როგორც თხოულობს თუ ისე არ მოვიქცევით, აბა რა იქნება?

— მამავ ჯან, უპასუხებს ოსეფა, რაექნა გუშინ როგორც მიბძანეთ, ისე მოვიქეცი. თქვენ აღარ მობძანდით, რა მექნა, მეც ხელოსანი კაცი ვარ, ამ ხელობით ვარჩენ ჩემ ცოლშვილს. მერე ხმა მაღლა შესძახა: საქმე ხომ არ წაგვიხდა?

არა, საქმე კი არ წახდება, უპასუხა ადვოკატმა, მაგრამ ყველა დროით უნდა. აბა, წავიდეთ ფოსტაში და დანარჩომი ქაღდებიც შევიტანოთ. მარკები ხომ მზათა გაქვს? დიაღ, მამავ, უპასუხებს ოსეფა გუშინვე ვიყიდე.

ოსეფა ადის მაღლა თავის ოთახში, რომ ჩაიცოს ტანთ, მარკებიც ამაიღოს და გაჰყვეს. მღვდელი ეზოში მოუცდის და მოუახლოვდება იქ მსხდომთ დედა-შვილს. ეგ ყმაწვილი ვისია, საწყალი? ჰკითხავს მანდილოსნებს. რანაირ გამხდარია; ეგ ეხლა სულსლა უპირავს—ძლიერ ავად არის.

— ჩემი ქალის შვილი გახლავსთ, ეტყვის მოხუცებული. აი, ამისი, მაუთითებს თავის ქალზედ,—ძლიერ ავად არის, ამ ღამით მოსვენება არა გვაქვს.

— მამა ხომ ჰყავს? ჰკითხამს მღვდელი.

— დიაღ, ბატონო.

— რა ხელობისაა, ხომ ჯანიანი კაცია ან ფერზე ხომ კარგად არის?

— კარგად გახლავსთ; სოლდანლულში მებაღეთ არის.

მ. დიმიტრიმ იმ მიზნით დაუწყო ლაპარაკი, რომ თითქოს ადვოკატობის თანამდებობიდგან უნდა გამოსულიყო და ექიმობა გამოეჩინა ხელად. დეეწყო, დიაღ! თურმე ხანდისხან უეცხლო მკურნალობასაც ჩემულობს, როგორც იმის დაწყობილ ლაპარაკიდგანა სჩანს მოხუცებულთან. ეს ესრეც იქნებოდა, რომ ოსეფა თავის ძველ ყურთმაჯიანის კაბით არ ჩამოსულიყო.—აბა, მამავჯან, წამობრძანდით!—და ორივენი წავლენ ქალაქისაკენ.

გზაზედ ჩვეულებისაებრ მ. დიმიტრი მოითხოვს ცივს ღვინოს, რადგან გასვლა გამოსვლით ძრიელ მოღლილიყო და დასცხომოდა კიდეც. ოსეფას რაღა უარი შეეძლო, თუ თავის მშველელს არა სცა პატივი სხვას ვიღას უნდა მისცეს? დალევენ ხელ და ხელ ჩვეულებისაებრ და წავლენ ფოსტისკენ. შევლენ თუ არა, ნახვენ იქ იმ ბასიშვილს, ფოსტის სინოვნიკს, რომელმაც მისცა წინად ორი კვიტანცია. იმის სიახლოვეს მ. დიმიტრი მოაცდევინებს ოსეფას, გამოართმევს ოთხ მარკას სამ აბაზიანებს და თითონ შევა მეორე განყოფილებაში ბოძებს იქით; მარტო დაჯდება მღვდელი და რაღაცა წერას მოჰყვება. ვიდრე ის წერას გაათავებდა, ოსეფამ ჰკითხა ჩინოვნიკს: ბატონო რა უნდა მოგართოთ გასაგზავნი? ორი შაური უპასუხა მან. ამ დროს მღვდელიც მოახლოვდება, მისცემს პაკეთში გაკეთებულს წერილს და რუსულად წასძახებს ჩინოვნიკს: «ბოლშე ვაზმი». ჩინოვნიკი ართმევს ხუთშაუ ნახევარს, რადგან ოსევას მეტიც არა ჰქონდა ხურდად და აძლიეს კვიტანციას 29 ივნისიდგან № 59.

მერედ, ფოსტიდგან გამოსულნი, რასაკვირველია, დიდი ჯაფისაგან მოქანცული მღვდელი—ადვოკატი და მისი კლიენტი ოსეფა ისამხრებენ რიგიანად ასე, რომ ეს უკანასკნელი სახლში მოდის ღამით და მასთან რიგიანად გადაკრული.

მეორე დღეს, ე. ი. 30 ივნისს მ. დიმიტრი, ჩვეურებისაებრ ისევ იმ დროს, როგორც წინა დღით, მობრძანდა ოსეფასთან, მოსთხოვა ფულები წარსადგენად სასამართლოში, რაზედაც ოსეფამ უქონლობისაგამო უარი განაცხადა: მღვდელო! ეუბნება ისა, ჩანგლებითაც რომ ჩამომკიდოთ, ვერსად ვიშოვი ეხლა. თქვენ აკი ბრძანეთ, ხუთ ექვს თვემდი არ დაგვჭირდებაო? რაცა მქონდა ისიც ხომ თქვენთან დავხარჯე. მ. დიმიტრიმ წყნარის ხმით განუცხადა, თუ არ წარადგენ ფულსა შენ ქაღალდებს უკანვე დაგიბრუნებენო; მაგრამ არა უშავს რაკი შვიდი დღის ვადა კიდევ გექნებაო. ესე და ამ გვარ ლაპარაკში გაატარეს დრო. მღვდელი—ადვოკატი ცდილობდა როგორმე ოსეფასთვის ფულების შოვნა გაებედვინებინა, ის კიდევ თავის შეუძლებლობას და სიღარიბეს ელაპარაკებოდა. დასასრულს ერთი ერთმანერთს განშორდენ. ოსეფამ ეხლაკი თავისი ადვოკატი უსადილოდ გაისტუმრა. აი, ის დღეა და ეს დღე რაც მღვდელს-ადვოკატს აღარ გაუჭაჭანებია ჩვენ ოსეფასთან. ანაფორიანმა ადვოკატმა საბრალო ოსეფა გამოწურა და როდესაც შეატყო, რომ მისგან აღარაფერი გამოდნებოდა, გაქრა. უეჭველია ეხლა ჩვენ სულიერ მამას მეორე ოსეფა სადმე ეყოლება ჩაბღუჯული და სწიწკნის...

ი. ბ—ვი.

5 მკათათვეს.

დიდის გაჭირვებით მღივსდა სოფლის მოხელე კაცების შემწეობით შეკრებენ რამოდენიმე ბავშვს-მუშაობისაგან დაღალულებს და დაქანცულებს. ამ გვარად შეკრებილნი ბავშვები, რასაკვირველია, ბევრს ვერ გაიმარჯვებს გამოცდაზედ ინსპექტორისაგან; მაგრამ ეს უკანასკნელი რამოდენად გულ-უხვი და გულ-კეთილი ბრძანდება-მაინც კარგის მხრით ადგენს ხოლმე ანგარიშს, საზოგადოდ კარგს წარდგინებას უშვრება ხოლმე მისგან განხილულს სკოლებს!.... აგრე რო არა ჰქნას,—(ნურას უკაცრავად ამის თქმაზედ) მაშ რითი უნდა დაიმსახუროს მან დიდი ყურადღება მთავრობისაგან ბევრი ფულების და ჩინების მიღებისა?!.... წარსული წლის რევიზიის დროს ზ. ხსენებულს ინსპექტორს განუზრახავს თავისი ცოლის წაყვანა ამ მხარეში, და-როგორც თან-მოზიარეს უოველ ჭირსა და ლხინში იხმარდა ხოლმე მას მმიმე საქმის შესრულების დროს; ერთ ადგილზედ კიდეკაც დაუწყია მას კვეხნა, რომ მას მისი ცოლი დიდს შემწეობას აძლევს!... რა კარგი იქნებოდა ქვეყნისათვის, რომ სხვა დიდი თანამდების არსნიც ატარებდენ თავიანთ ცოლებს სამსახური რაიონზედ!...

ამ გვარი და სხვა ბევრი დამაბრკოლებელი პირობებისაგან შეცული სკოლები, რასაკვირველია, მლიერ ცოტათი სასარგებლო არიან ხალხისთვის და-შეუძლებელია-რაიმე ნამყოფი მოუტანონ ვისმეს, უკეთუ უკეთესს საფუძველზედ არ დამყარდენ იგინი... ამიტომაც მოგახსენებდით, რომ სამრევლო სკოლა გახსნილი პრიხოდის მღვდლისაგან თავიანთ მრევლში ეკლესიასთან,—ჩვენის ფიქრით და მოსაზრებით,—უფრო საიმედო და ნამყოფიერიც იქნება, ამისთვის რომ ა) მღვდელი მუდმივ თავიანთ მრევლში იმყოფება, იცის მათი ენა, დაახლოებით იცნობს მათ, არის, სხვათა შორის, მათი სჯულის მასწავლებელი; ბ) აქაური ყმაწვილებთათვის, რომელთა მშობლები და ნათესავები-ჯერ-ჯერობით მალიან ცოტათი არიან ქრისტეს სარწმუნოების ცოდნაში გასხნილნი, აუცილებლად საჭირო არის ქართული ენის შესწავლა, რადგანაც დვთის მსახურება და ყოველ ქრისტიანულ წესები სრულდება ხოლმე ქართულს ენაზედ და რადგანაც ქართულ ენას აქაურ სკოლებში სრულებით არ ასწავლიან; გ) ამ ენაზედ სწავლებას დასაწყისში და შემდეგ რუსულის ენასთან შეერთებით მღვდლები ადვილად მოასერხებდენ, რადგანაც რომელიმე ამ უკანასკნელ თავიანთ კურს შესრულებულები არიან საშვალს და უეზდის სასწავლებლებში, და—მათ უმეტესად მოსალოდებელი იყო მათგან ამ საქმეში კეთილი ნამყოფისა, რომელ მათ ეყოლებოდათ უფროს ზედამხედველად ყოველ მხრივ ყოვლად განათლებულ და სწავლის გავრცელებისადმი გულითად თანამგრძნობელი იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, რომელიც მმართავს აბხაზეთის ეპარხიასაც.

ამას გარდა, მღვდლებს ერთად ყმაწვილების სწავლასთან შეეძლოთ ქალიშვილების სწავლებაც,—ქალების სწავლებას, მოვახსენებთ,—რომელიც—თუ სადმე საჭირო არის ჩვენს განსაცდელს და აღელვებულს დროში—უმეტესად ამ მხარეში,—სადაც ხალხი გონებით და ზნეობით, როგორც ზევით ვთქვით, ფრიად დაცემულია და—ამ გვარ დედებთან, რასაკვირველია, ნორჩი და უმანკოთი ქმნილებანი ფუჭდებიან. ამასთანავე აქაურებს ებარებათ სასწავლებელში მიცემა არა მხოლოდ ქალების, არამედ ვაჟებისაც: ქალიშვილებისათვის იგინი ფიქრობენ,—«სასწავლებელში რომ მივცეთ ქალიშვილი,—მერმე იგი გაგვირუსდებიანო და რუსებს მისცემენ ცოლებათო» და სხ.. ხოლო მღვდლებზედ ამას არ იტყვიან, რადგან მათთან მიჩვეულნი და გათამამებულნი არიან და—მაშასადამე უფრო ენდობიან მათ და ადვილადაც მისცემენ თავიანთ ქალიშვილებს სასწავლებლად. რასაკვირველია, მღვდლებს ამ შემთხვევაში უნდა ჰქონდესთ ნივთიერი და ადმინისტრატიული შემწეობა.......

აწ სრული იმედი გვაქვს ამ ჩვენს ნათქვამს—ვისიც რიგია ყურადღებას მიაქცევს და უდაბნოში მღაღადებელ ხმად არ დაჰგდებს. *)

*) ეკლესიებთან სკოლებს მაშინა ჰქონდა მნიშვნელობა, როდესაც ჩვენ სარწმუნოება მაჰმადიანობის შიში ჰქონდა, სწავლა სარწმუნოების გამამტკიცებელი იყო და ჩვენი სასულიერო წოდებაც მხურვალედ ეკიდებოდა სწავლის საქმეს. ეხლა დროება შეიცვალა, ჩვენ სარწმუნოებას აღარაფერიხა ეშინიან.

რედ.

# განცხადებანი


25% უფრო იაფად მინამ სხვაგან

ციტრატი, მაგნეზია, ყავის საფქვავი, საურეელები, უთოები, კრაოტები, ტანისამოსის ჩამოსაკიდებელი, კლიონკა, დანები, შჩოტკები, ჩანგლები, კალმები, ჩაი პირველი რთველისა და სხვ. ინგლისის მაღაზიაში. (10—1)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1.000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—4)

ინგლისის მაღაზიაში

### თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—3)



### მაკ-მასტერი

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

### შპალერები

ვერცხლის მედალი.

აუარებელი და იყიდება ქარხნის ფასებით

მმათა ტარნოპოლების

ქარხნის ადესის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბალოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.

ნარდათ მყიდველთ დაეთმობათ. (40—35)

საგლობუსო 

კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვრისა კალმები, ყოველის ,,ხელისათვის''—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები. პორტ... სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხის იატაკისათვის კლიონკები, ტაშტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმიო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატარუკი—20 კ. (100—42)

2000 ბოთლი ციტრატ-მაგნეზიისა წყურვილის მოსაკლავად 80 კ., 1000 ყავის საფქავი 1 მანეთიდამ, 3000 საურეელი 20 კაპეიკიდამ, 4000 ჩამოსაკიდებელი 5 კ. ინგლისის მაღაზიაში.

იქვე კარბოლის პარაშოკი, უნაგირები, რევოლვერები, ჩულქები, წინდები და გუტაპერჩის პალტოები 25% იაფად სხვებზედ. პარუსინა და კაცის წამოსასხამები ნახევარ ფასად. (10—8)


## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ და-ხელ პირველიდამ 16 კათათვემდე 1883 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5½ |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | 3½ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის— | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 4 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | 3½ |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5½ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | 3½ |
| მროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის— | 1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
9 საათზედ და 46 წამ. დილით.

თბილისიდამ ხაშურამდინ
2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ
9 საათზედ დილისა.

რიონიდგან თბილისისკენ
2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.

ბათუმიდგან თბილისისკენ
9 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ
9 საათ. და 41 წამ. დილისა.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
12 საათზედ ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
8 საათ. და 46 წამ. დილისა.

Дозв. цензурою Тифлисъ, 11 Іюля 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ზ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.